

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილექსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების 2018 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილექსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების პროგრამა.
2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2018 წელი – 31 დეკემბერი 2018 წელი.
3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 23 000 (ოცდასამიათასი) ლარი.
4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი.
5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** პარკინსონით ან ეპილექსიით დაავადებულ ერთ ბენეფიციარზე 150 (ასორმოცდაათი) ლარი, რომელიც გაიცემა ერთჯერადად.
6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეპილექსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციარების ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ეპილექსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილექსიით ან პარკინსონით დაავადებული პირები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
- ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ.
- გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში ლიბერთი ბანკიდან.
- დ) არასრულწლოვანის შემთხვევაში: დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი. განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელზე.
- ე) ქმედუუნარო პირის შემთხვევაში: გადაწყვეტილება მეურვის დანიშნვის შესახებ.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.
2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე

Б. 30526 мин д/г